ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №164

ქ. თბილისი

05 ივნისი 2018 წ.

ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“ (შემდგომში–„შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნონა ღუდუშაური** სახით და მეორეს მხრივ შპს **,,ავერსი-ფარმა“** წარმოდგენილი კომერციული დირექტორის **ეკატერინე მიქელაძე** (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი 171497052 ინდივიდუალური ნომერი 33007688809817) სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ‘**საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის** საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

## *1. შესყიდვის საგანი (ობიექტი)*

1.1 შესყიდვის ობიექტი (ხელშეკრულების საგანი): დანართი N1-ით (საბიუჯეტო სახსრები) განსაზღვრული საქონლის სახელმწიფო შესყიდვა. CPV კოდი, რაოდენობა და ერთეული ფასი მოყვანილია N1 დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## *2. ხელშეკრულების ღირებულება*

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს: 8.87 (რვა ლარი და 87 თეთრი) ლარს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი გადასახადის ჩათვლით.

## *3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი*

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მოწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს.

## *4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები*

4.1 შესყიდვის ობექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, დ. სარაჯიშვილის 13 (მიმწოდებლის აფთიაქი), სადაც სასაქონლო ზედნადებისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტიდან საკუთრების უფლება საქონელზე გადადის შემსყიდველზე.
4.2 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება 2018 წლის 05 ივნისიდან 2018 წლის 14 ივნისამდე.

## *5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი*

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით, რომელთა ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია საქონლის შემთხვევით (ნაწილობრივ ან მთლიანად) განადგურებასა თუ რაიმე სახის ზიანზე. ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.
5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ მედდა ნანული ჯარიაშვილი.
5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

## 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.
6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

## 7. მხარეთა უფლება– მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- საქონლის მიღებისას მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შეამოწმოს საქონლის რაოდენობა და ვარგისიანობის ვადა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან მიმართებაში, დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში შეატყობინოს მიმწოდებელს.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- მიაწოდოს შემსყიდველს შესაბამისი რაოდენობისა და დასახელების საქონელი.
- შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტის გათვალისწინებულ შემთხვევაში შეცვალოს საქონელი, აღმოფხრას დარღვევა.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3 ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.4ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების/გადასახდელი თანხის 0.02%-ს.
8.5 იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

*9. ხელშეკრულოების მოქმედების ვადა*

9.1 ხელშეკრულება ძალაშია 2018 წლის 05 ივნისიდან 2018 წლის 30 ივლისამდე.

*10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*11. ფორს–მაჟორი*

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

*12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

*13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

13.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს კოლეჯში მოქმედი ინსპექტირების ჯგუფი.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს მოწოდებული საქონლის დეფექტის სათანადო მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*14. ინტერესთა კონფლიქტი*

14.1 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის მონაწილეობა ამ შესყიდვის განხორციელებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

## *15. სხვა პირობები*

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თვიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთნ დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

## *15. მხარეთა რეკვიზიტები*

შემსყიდველი:
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“
მისამართი: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი N9 ა, ს/კ 209467646;
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22; ორგანიზაციული კოდი 32030111
დირექტორი: ნონა ღუდუშაური

________________________
(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:
შპს „ავერსი -ფარმა“
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის 148
ს/კ 211386695
სს „ საქართველოს ბანკის“ ბ/კ BAGAGE22, ა/ა GE06BG0000000122932100
კომერციული დირექტორი: ეკატერინე მიქელაძე

________________________
(ხელმოწერა)

დანართი N1

| N | საქონლის დასახელება | CPV კოდი | რაოდენობა | განზომილება | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბამბა სამედ.ჰიგრ.ქირურ.სტერ50გ | 33141115 | 1 | ცალი | 0.95 | 0.95 |
| 2 | ბინტი 5მx10სმ სტერ.UHP | 33141110 | 1 | ცალი | 0.45 | 0.45 |
| 3 | ეთანოლი სამედიცინო 100მლ | 24322220 | 1 | ცალი | 1.7 | 1.70 |
| 4 | იოდის სპირტხსნარი 5% 10მლ ფლ | 24322000 | 1 | ცალი | 0.49 | 0.49 |
| 5 | ლეიკოპლ."მედპლასტი"#10 | 33141111 | 1 | ცალი | 0.25 | 0.25 |
| 6 | ნიღაბი სამედიცინო #1 | 33140000 | 1 | ცალი | 0.12 | 0.12 |
| 7 | საფთიაქო სამედ.ყუთი(ჰემოპლ) | 33141623 | 1 | ცალი | 4.15 | 4.15 |
| 8 | წყალბადის ზეჟანგი 3% 100მლ საქ | 24315300 | 1 | ცალი | 0.6 | 0.60 |
| 9 | ხელთათმანი ა/სტ.ვინ L #100 | 18424300 | 0.02 | ცალი | 7.85 | 0.16 |
| | ჯამი | | | | | 8.87 |

შემსყიდველი:
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“

დირექტორი: ნონა ლუდუშაური

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:
შპს „ავერსი -ფარმა“
კომერციული დირექტორი: ეკატერინე მიქელაძე

(ხელმოწერა)